საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/121 “ 7 ” ნოემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

კ. გოცირიძისათვის გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შალვა კაკაურიძე, რომელიც იმავდროულად იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე, 2022 წლის 1 ნოემბრიდან დანიშნულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი დაკავშირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებთან, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

გორის რაიონული სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, რის გამოც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლის - კობა გოცირიძისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კობა გოცირიძეს დაეკისროს გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 8 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე